ა(ა)იპ ქ. თბილისის განვითარების ფონდი

კონკურსი

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის № 36 და № 34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი

ქ. თბილისი

2015

1. შესყიდვის ობიექტი: დავით აღმაშენებლის № 36 და № 34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი (იხ, ტექნიკური დავალება);

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 80 000.00 (ოთხმოცი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 4 თვისა (ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით).

4. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50,00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას. (მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღების ანგარიშის/სახაზინო კოდი: 707797130).

4.1 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

4.2 საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთანავე, 4.1. პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5. შეფასების კრიტერიუმები:

5.1 საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

5.1.1 კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა: კოეფიციენტი –0,4

5.1.2 გამოცდილება: კოეფიციენტი -0,3

5.1.3 საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი –0,3

5.2 კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

6. პრეტენდენტთა მიერ წარმოსადგენი პირველადი საკონკურსო წინადადება და დოკუმენტები:

6.1 გამოცდილება:

6.1.1 პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება, მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ. (შესრულებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები);

6.1.2 ინფორმაცია ძირითადი მონაწილეების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ CV (არქიტექტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი, ხელოვნებათმცოდნე, კონსტურქტორი და ა.შ.);

6.2 სადემონსტაციო მასალა (დავით აღმაშენებლის N 34 და N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლები):

6.2.1 შენობების არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება;

6.2.2 ძეგლის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;

6.2.3 ძეგლის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი და კვლევითი-საპროექტო სამუშოების განხორციელების ეტაპობრიობა;

6.2.4 ძეგლის საჭიროებებიდან გამომდინარე ყველა მომიჯნავე დარგის სპეციალისტის რეკომენდაციები ძეგლის მდგომარეობისა თუ მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევის შესახებ;

6.2.5. დავით აღმაშენებლის N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოხატულობის ზოგადი დახასიათება;

6.2.5 მოხატულობის საერთო ხედებისა და დეტალების ამსახველი უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;

6.2.6 კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია და ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება;

6.2.7 სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა და რეკომენდაციები ძეგლის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევის შესახებ;

6.2.8 კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი საკონსერვაციო სამუშაოებისა თუ აქტივობების ჩამონათვალი;

6.2.9 ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები (ნებისმიერი სახის ანალიზი თუ დასკვნა) უნდა ემსახურებოდეს საერთო მიზანს – ძეგლის არსებული მდგომარეობისა და მისი გაჯანსაღების გზების დახასიათებას.

6.2.10 საკონკურსო შესარჩევი სავალდებულო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა:

საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი - ზამბარით აკინძული A-4 ფორმატის ალბომი, შემდეგი შემადგენლობით:

- თავფურცელი ძეგლის დასახელებით, დადასტურებული ხელმოწერით ხელმძღვანელის მიერ;
- შესარჩევ ეტაპზე წარმოსადგენი ინფორმაცია და მონაცემები;
- სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესი ფერადი ფოტომასალა;
- ძეგლთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მასალა (საარქივო ფოტოები, პროექტები და სხვ.) რასაც პრეტენდენტი ჩათვლის საჭიროდ.

ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს ილუსტრირებულ ანგარიშს ტექსტის ანალიტიკური ნაწილით, უახლესი ფოტომასალითა და შესაბამისი რეკომენდაციებით.

ალბომი წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულ (CD) ფორმატში.

ფოტომასალა CD-ზე ჩაწერილი (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის– TIFF ან JPEG გაფართოების ფაილები);

6.3 რეკვიზიტები (დანართი3)

7. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადა: 2015 წლის 05 მარტის ჩათვლით 18:00 საათამდე;

8. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 06 მარტს 17:00 საათზე;

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (ელექტრონული ვერსია _ კომპაქტური დისკების - CD სახით, მყარი ასლების სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 48, თბილისის განვითარების ფონდი, 2015 წლის 05 მარტის ჩათვლით, 18:00 საათამდე.

9. დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

10. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

10.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

10.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

11. კონკურსის შეწყვეტა:

11.1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი

და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
11.2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

12. ხელშეკრულების დადება:
გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღის ვადაში გამარჯვეულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

13. ანგარიშსწორების პირობები:
13.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (მათ შორის ექსპერტიზის ღირებულება) - დღგ-ს ჩათვლით.
13.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ბიუჯეტის სახსრებით.
13.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
13.4 არ გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი.

14. საბოლოო შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:
14.1 საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს დამუშავებული დოკუმენტაცია:
– მყარი ასლები – ალბომი- 4ეგზ;
– ელექტრონული ფორმატი (ვექტორული dwg, dxf, pln, rvt გაფართოების ფაილი, ასევე კონვერტირებული PDF), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4ეგზ.).

15. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება
საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

16. ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ზუბალაშვილების 48, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: ნინო ნოზაძე ტელ: +995 77 25 33 73.

დანართი 3

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

საბანკო ანგარიშის ნომერი:

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №
კონკურსის SPA ნომერი

ქ. თბილისი ---------- 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი** (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის **თემურ ხომერიკის** სახით და მეორეს მხრივ, ---------- (მის: ქ. თბილისი, ----------, ს/კ ----------, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ---------- ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა ----------, ტელ: ----------) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის ---------- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ----

2.2 შესყიდვის საშუალება:

2.3 შესყიდვის საფუძველი:

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

2.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

2.7 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ---------- ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- ჩათვლით.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ----------;

3.3 შესასყიდი ობიექტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და ტექნიკური პარამეტრები შეესაბამებოდეს ---------- და საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოების პროცესისას წარმოქმნილი ცვლილება/დამატებები პროექტში განახორციელოს გამოვლენიდან გონივრულ ვადაში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს(ებს): ----------.

5.3 შესმყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან/და აღმოფხვრას დეფექტები შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში. თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო მომსახურებით. თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) საფუძველზე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

6.3 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს საქსპერტო აქტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

6.4 შესასყიდი ობიექტის მიღებას აწარმოებს ფონდის უფლებამოსილი პირი: ----------.

6.5 თუ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

6.6 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების და შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და შესასყიდი ობიექტის ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.5 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა)

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

10.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.4 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1 რისკების თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია ---------- ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემდეგ (მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის გაფორმების შემდეგ), საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება მოთხოვნისთანავე. ასევე, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს გარანტია, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა.

12. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თავმჯდომარე	დირექტორი
თემურ ხომერიკი	

დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას

ტექნიკური დავალება

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 36 და № 34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი

- **პრეამბულა**

დავით აღმაშენებლის გამზირი N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N36-ში მდებარე XX საუკუნის დასაწყისში აგებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს მაღალი არქიტექტურულ-მხატვული ღირებულების სამ სართულიან შენობას. ის მოდერნის სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. დავით აღმაშენებლის გამზირისკენ მიმართული, აგურით ამოყვანილი მთავარი ფასადის პირველი სართული ქვითაა მოპირკეთებული, ზედა სართულები კი შელესილია და შემკულია სტუკოს დეკორატიული ნაძერწობითა და აივნების ლითონის აჟურული მოაჯირებით.

შიდა ეზოს ფასადს ხის ჭვირულ მოაჯირიანი აივნები ამშვენებს. აღსანიშნავია, რომ დეკორის უმეტესი ნაწილი აუთენტური სახით არის შემორჩენილი.

საცხოვრებელი სახლის მთავარი ფასადის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს მდიდრული დეკორით გაფორმებული სადარბაზო - ვესტიბიული, რომლიც XX საუკუნის დასაწყისის თბილისში ფართოდ გავრცელებული, ინტერიერის მხატვრული დამუშავების სტილითა და ტექნიკითაა გაფორმებული: კედლები და ჭერი მოხატულია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სცენებით, იატაკი მოზაიკური ხსნარითაა მოპირკეთებული, ქვის კიბე, ხის დეკორატიული მოაჯირი და ლითონის ცხაურები, სადარბაზოს ცენტრალური ხის კარი.

ცენტრალური სადარბაზოს გარდა, შენობას შიდა ეზოს მხრიდან კიდევ 2 სადარბაზო აქვს, სადაც ხის კიბე და მოაჯირებია მოწყობილი.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შენობა მნიშვნელოვანია უბნის ისტორიულ-არქიტექტურული იერსახის შექმნისთვის, მას დომინანტის როლი აქვს და დავით აღმაშენებლის გამზირის განაშენიანებაში აზიდული პროპორციით გამოირჩევა. ძეგლის ღირებულებიდან

გამომდინარე, მასზე დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოების ჩატარება, როგორიცაა კონსერვაცია - რესტავრაცია.

დავით აღმაშენებლის გამზირი N 34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი

დავით აღმაშენებლის გამზირი N34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აშენებულია 1882 წელს. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის შენობა ორ სართულიანია და ატარებს ამპირის ნიშნებს, გეგმარებითი სტრუქტურის მიხედვით ანფილადურია, ფასადის კომპოზიცია კი სიმეტრიული.

დავით აღმაშენებლის გამზირისკენ მიმართული, აგურით ამოყვანილი ფასადი შელესილია და შემკულია დეკორატიული ნაძერწობით. მეორე სართულზე მდებარე აივანს ლითონის დეკორატიული მოაჯირი ამშვენებს.

ხის აივნებიანი შიდა ეზოს ფასადი დღეის მდგომარეობით ძალიან სახეცვლილია, დამახინჯებულია უსახური მიშენებებით.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, აღნიშნული საცხოვრებელი სახლი კარგადაა ჩაწერილი ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში და მნიშვნელოვანია უბნის ისტორიულ-არქიტექტურული იერსახის შექმნისთვის.

- **ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები:**

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. მძიმე მდგომარეობაში მყოფ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. მათ დიდ ნაწილზე არ მოიპოვება ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი უახლესი დოკუმენტაცია, უცნობია დაზიანებების გამომწვევი ფაქტორები და არ შედგენილა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო დოკუმენტაციით განისაზღვრება რეაბილიტაციის მიმართულებები, რაც საფუძველია ფიზიკური სამუშაოების განსახორციელებლად.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N34-სა და N36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების შენარჩუნებისათვის აუცილებელია:

- ნაგებობების ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება;

_ ძეგლების მდგომარეობის სტაბილიზაციისა და მისი რესტავრაცია-კონსერვაციისათვის აუცილებელ სამუშაოთა განსაზღვრა.

❖ **მიზანი და ძირითადი პირობები**

კონკურსის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის მიზნით, რესტავრაცია-რეაბილიტაციის საუკეთესო წინადადებისა და პროექტის გამოვლენა.

ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული dwg, dxf, pln, rvt გაფართოების ფაილი, ასევე კონვერტირებული PDF) ფორმატში.

გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდება პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე.

გამარჯვებულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შსაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მიმწოდებლის მიერ ჩასაბარებელი საბოლოო პროდუქტის - კვლევითი-საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას, რომლის ზუსტი შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, მოთხოვნათა შესაბამისად.

გასაწევი მომსახურება ორ ეტაპიანია.

დავით აღმაშენებლის გამზირი N 36-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი

I ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა);
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000;
3. ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500 ან 1:200;

4. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);

5. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ნახაზები _ მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები _ მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები _ მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);

6. ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

7. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;

8. მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური ზედამხედველობა და შესაბამისი კვლევის შედეგები (საჭიროების შემთხვევაში საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);

9. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება); ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ჭრილები, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;

10. საშენი და მოსაპირკეთებელი მასალის მინერალურ პეტროგრაფიული კვლევა;

11. არქიტექტურული დეტალების თავდაპირველი ფერის კვლევა - ზონდირება და რეკომენდაციები;

12. რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

13. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ძეგლის ისტორიულ-მხატვრულ-არქიტექტურული კვლევა და რეკომენდაციები);

14. კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია - გრაფიკული დოკუმენტაცია. Dwg, ILL, ფაილები

- საპროექტო ობიექტის საერთო ხედებისა და დეტალების ამსახველი უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;

- კედლის მხატვრობის შესრულების ტექნიკის და ტექნოლოგიის კვლევა - სინჯების ლაბორატორიული შესწავლა.
- მოხატულობის საერთო მოცულობის განსაზღვრა;

II ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი: გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები: გეგმები, ჭრილები, ფასადები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
2. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
3. საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200;
4. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
5. საინჟინრო ნაწილის პროექტები:

კომუნიკაციების ქსელების მოწესრიგება ცალკეული ბინების შიდა ქსელების გარეშე.

- წყალსადენი-კანალიზაცია;
- ელექტრომომარაგება;

6. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
7. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 1);
8. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა - დანართი 2).
9. ინტერიერის მოხატულობის კონსერვაციის პროექტი:

- მოხატულობის დაზიანებების კვლევის შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების არგუმენტირებული ჩამონათვალი დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- ავთენტურ მასალასთან თავსებადი საკონსერვაციო მასალების თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილების შესაბამისად შერჩევა;
- სადარბაზოს ინტერიერში არსებული კომუნიკაციის მოწესრიგების პროექტი;
- სამომავლო თავდაცვითი ღონისძიებების განსაზღვრა;

- კონსერვაციისათვის საჭირო სამუშაოებისა თუ აქტივობების ხარჯთაღრიცხვა და გეგმა გრაფიკი.

დავით აღმაშენებლის გამზირი N 34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია

I ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა);

2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა _ მ. 1:2000 ან 1:1000;

3. ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500 ან 1:200;

4. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);

5. ფასადის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ნახაზები _ მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები _ მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები _ მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);

6. ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;

7. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;

8. მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური ზედამხედველობა და შესაბამისი კვლევის შედეგები (საჭიროების შემთხვევაში საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);

9. საჭიროებისამებრ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება); ანგარიშს თან უნდა ახლდეს ლითოგრაფიული ჭრილები, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;

II ეტაპზე ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

10. არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); ფასადის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი: სამუშაო ნახაზები ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
11. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
12. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
13. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
14. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა - დანართი 1);
15. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა - დანართი 2).

- **საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა:**

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- სათაური;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობა;
- პროექტის შემადგენლობა;
- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;
- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელის და შემდგენელის ხელმოწერ(ებ)ით;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

❖ საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ და მეორე ეტაპზე დამუშავებული დოკუმენტაცია:

– მყარი ასლები – ალბომი- 4 ეგზ;

– ელექტრონული ფორმატი (ვექტორული dwg, dxf, pln, rvt გაფართოების ფაილი, ასევე კონვერტირებული PDF), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4ეგზ.).

<u>დანართი 1</u>

დამტკიცებულია
საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება №3/175
2007 წლის 25 სექტემბერი

სახელმწიფო სარეგისტრაციო
კოდი 450.190.000.22.028.010.868

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
№

ფოტოსურათი

1. სახელწოდება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2 გეოგრაფიული / მდებარეობა	
ისტორიული მხარე	

გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

5. სტატუსი და კატეგორია

5.1. სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.4. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.5. კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	

5.8. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
5.9. რეესტრის №		
5.10. რეესტრში შეტანის თარიღი		

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
6.1. რელიგიური		
6.2. სათავდაცვო		
6.3. საერო		

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
და სხვა	

8. მოკლე დახასიათება

9. ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4. მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები

10. მითითებაკულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/ სააღრიცხვო ბარათი	
გრაფიკული მასალა	

ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	

11. მითითებები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან/ძეგლთან დაკავშირებულ სხვა ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ობიექტში/ძეგლში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

13. ბარათის შემდგენელი

14. სააღრიცხვო ბარათის შედგენის თარიღი

<u>დანართი 2</u>

დამტკიცებულია
საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება №3/175
2007 წლის 25 სექტემბერი
სახელმწიფო სარეგისტრაციო
კოდი 450.190.000.22.028.010.868

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
უძრავი ძეგლის პასპორტი

ფოტო

1. სახელწოდება

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	

მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	

	ამჟამინდელი	
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
რეესტრის №		
რეესტრში შეტანის თარიღი		

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო		

7. საკუთრება (მესაკუთრე/მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ა) შეფასება არქიტექტურული თვალსაზრისით ბ) შეფასება კონსტრუქციული თვალსაზრისით

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/ სააღრიცხვო ბარათი	
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებული უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ძეგლში დაცული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. ისტორიული ცნობები

12.1 დაარსების, აღმოჩენის, მშენებლობის, შექმნის ისტორია, ავტორი, დამკვეთი, ნაგებობასთან დაკავშირებული პირები და ორგანიზაციები და სხვ.
12.2 გადაკეთება და/ან დანაკარგი, რამაც შეცვალა ძეგლის თავდაპირველი სახე

13. ძეგლის აღწერა

13.1 გარემო
13.2 არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია
13.3 სამშენებლო მასალა და ტექნიკა ა) მზიდი კონსტრუქციები ბ) გადახურვა
13.4 ინფორმაცია მონუმენტური ფერწერის, პლასტიკის და ეპიგრაფიკის ნიმუშებზე

14. მხატვრულ-ისტორიული რეზიუმე

15. ძეგლზე ჩატარებული სამუშაოები (ზოგადი აღწერა, დრო, ავტორი, დოკუმენ-ტაციის შენახვის ადგილი)

16. კარტოგრაფიული მითითება

X კოორდინატი	
Y კოორდინატი	
სიმაღლე ზღვის დონიდან	

17. საკადასტრო ინფორმაცია (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი)

18. ინფრასტრუქტურა

უახლოესი დასახლებული პუნქტი	
მანძილი სამანქანო გზიდან ძეგლამდე	
მანძილი უახლოესი რკინიგზის სადგურიდან ძეგლამდე	

19. საილუსტრაციო მასალა

ფოტოები	
გენგეგმა/სიტუაციური გეგმა	
გეგმები	
ჭრილები	
ფასადები	
ინტერიერის განშლები	

20. დამცავი ზონის სქემა და ცვლილებები (დოკუმენტის სახელწოდება, თარიღი, ავტორი, სამართლებრივი საფუძველი, გრაფიკული გამოსახულება).

21. დამატებითი ინფორმაცია

22. პასპორტის შემდგენელი

23. პასპორტის შედგენის თარიღი

24. ინფორმაცია ცვლილებების შეტანის შესახებ (თარიღი)